გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ს/ს სარაჯიშვილის აქციების გამოსყიდვაზე სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შესახებ.

სააქციო საზოგადოება სარაჯიშვილის აქციათა 99,38605 პროცენტის პაკეტის მფლობელები: ზურაბ ბუბუტეიშვილი, მარინა მალაზონია, გიორგი ბუბუტეიშვილი და თამარ ბუბუტეიშვილი ვაცხადებთ დარჩენილ აქციათა შესყიდვაზე სავალდებულო სატენდერო შეთავაზებას შემდეგი პირობებით:

1. შესასყიდი აქციების კლასი-ჩვეულებრივი აქციები;
2. შესასყიდი აქციების რაოდენობა- 11135 ცალი. აქციათა საერთო რაოდენობის 0,61395 %;
3. აქციათა სავალდებულო სატენდერო შეთავაზების ფასი დადგენილია დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის მიერ და შეადგენს 10 ლარს 1 აქციაზე. ბოლო 6 თვის განმავლობაში აქციების გამოსყიდვის განმახორციელებელ პირებს აქციები არ გამოუსყიდიათ.
4. სააქციო საზოგადოება სარაჯიშვილს გამოშვებული აქვს 1813667 ცალი ჩვეულებრივი აქცია. შემთავაზებლების მფლობელობაში არის 1802532 ცალი ჩვეულებრივი აქცია, რაც შეადგენს 99,38605 % ;
5. სატენდერო შეთავაზების ვადა განისაზღვრება 2 თვით, მისი გამოქვეყნების დღიდან.
6. სატენდერო შეთავაზება შედგება მხოლოდ მაშინ, როცა შემთავაზებელი განცხადებაში აღნიშნული რაოდენობის გაყიდვაზე მიიღებს თანხმობას.
7. შემთავაზებლის მიერ სატენდერო შეთავაზების რომელიმე პირობის შეცვლის შემთხვევაში გაკეთდება შეთავაზების განცხადების განახლებული ვერსია და დადგენილი წესით გავრცელდება.
8. შემთავაზებლებისათვის გათვალისწინებულზე მეტი ფასიანი ქაღალდების გაყიდვაზე თანხმობის მიღების შემთხვევაში ფასიანი ქაღალდები შესყიდულ იქნება თანაბარწილად, პროცენტულობისა ან რაოდენობის მიხედვით.
9. აქციების შესყიდვა მოხდება სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლის შემდეგ.
10. შეთავაზება აგენტის მიხედვით არ განხორციელდება.
11. შემთავაზებელს აქციათა მფლობელებისათვის რაიმე დამატებით რეკომენდაცია არ აქვს.
12. შემთავაზებელი აქციების შესყიდვაზე შემოსულ განცხადებებს განიხილავს სატენდერო შეთავაზების ვადის დამთავრებიდან 5 სამუშაო დღეში და ამავე დროში იღებს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით
ს/ს სარაჯიშვილის აქციათა
პაკეტის მფლობელთა უფლებამოსილი
წარმომადგენელი: ---------- ზურაბ ბუბუტეიშვილი

10.02.2025 წ.